

საქმე №სპ-12-17

16 ნოემბერი, 2017 წელი  
ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ

შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე: მაია ვაჩაძე

მოსამართლეები: ეკატერინე გასიტაშვილი,  
ვასილ როინიშვილი(მომხსენებელი)

სხდომის მდივანი - მ. გ.

საჩივრის ავტორი – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

მოწინააღმდეგე მხარე – აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლე (სასამართლოს თავმჯდომარე) - მ. ს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება

### ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 12 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის - კ. კ-ს №1242 წერილის საფუძველზე, დისციპლინური დევნის აღძვრის წინასწარი შემოწმების შედეგად, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად,

აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა, რომლის საფუძველი გახდა ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა - საქმის განხილვის უსაფუძველო გაჭიანურება.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სისხლის სამართლის საქმე განსასჯელების - ნ. მ-სა და ლ. ქ-ს მიმართ აბაშის რაიონულ სასამართლოში განსახილველად შევიდა 2003 წლის 22 ოქტომბერს. იმავე წლის 29 ოქტომბერს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს მიერ მოცემული საქმე აცილებულ იქნა კანონით დადგენილი წესით. თუმცა, აცილებული სისხლის სამართლის საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოში მოსამართლის მიერ გადაიგზავნა აცილებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ - 2004 წლის აპრილში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2004 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებით მოსამართლე (სასამართლოს თავმჯდომარე) - მ. ს-ა მიცემულ იქნა დისციპლინურ პასუხისგებაში ზემოაღნიშნული დისციპლინური გადაცდომისათვის.

მოცემულ საქმეზე 2004 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლე (სასამართლოს თავმჯდომარე) - მ. ს-ა ცნობილ იქნა ბრალეულად ზემოაღნიშნული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენისათვის, რისთვისაც მას დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა და სახდელი - მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება.

სადისციპლინო კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება, კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივრა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ (სასამართლოს თავმჯდომარემ) - მ. ს-მ და მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება, რადგან მისი მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება უკანონო იყო და ევროსაბჭოს 2005 წლის იანვრის რეზოლუციით აღიარებული მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფას წარმოადგენდა.

აღნიშნულ საჩივარზე საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს მიერ 2005 წლის 27 იანვარს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც წარმოდგენილი საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა სადისციპლინო კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

მითითებული გადაწყვეტილება ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოში სასარჩელო წესით გაასაჩივრა მ. ს-მ და სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა მოითხოვა.

მ. ს-ს სარჩელი ქ. თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 10 მარტის განჩინებით გადაგზავნილ იქნა საქართველოს უზენაესი

სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რამდენადაც 2005 წლის 25 თებერვალს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებით დადგინდა, რომ სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრებულიყო მხოლოდ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში საკასაციო წესით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 მაისის სხდომაზე სასამართლოს მიერ მოსამართლისათვის განმარტებულ იქნა მისი ვალდებულება სასარჩელო განცხადების საჩივრად ტრანსფორმირების თაობაზე. აღნიშნული მითითების შესაბამისად, მ. ს-მ წარადგინა საჩივარი, რომლითაც მან სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების გაუქმება მოითხოვა, შემდეგ გარემოებათა გამო:

საჩივრის ავტორის მითითებით, სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების მიღებისას დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული კანონის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რაც გამოიხატა იმაში, რომ საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს იმ წევრებმა, რომლებიც უნდა ჩამოცილებოდნენ მოცემული საქმის განხილვას, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, საქმის განხილვის უფლება არა აქვს იმ წევრს, რომელსაც აღნიშნულ საქმეზე ადრე აქვს გადაწყვეტილება მიღებული. მოცემულ საქმეზე კი მონაწილეობდა საბჭოს 4 წევრი, რომლებმაც 2004 წლის 23 დეკემბერს ამავე საქმეზე გამოიტანეს გადაწყვეტილება. ასევე, დარღვეულ იქნა ზემოაღნიშნული კანონის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი იმის გამო, რომ მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება მოხდა ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რაც უკანონოა, რადგან სადავო სისხლის სამართლის საქმეს არ იხილავდა მოსამართლე (სასამართლოს თავმჯდომარე) - მ. ს-ა და შესაბამისად, მისი მხრიდან საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას ადგილი არ ჰქონია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის განჩინებით აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარე) - მ. ს-ს საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სადისციპლინო კოლეგიამ მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმე განსასჯელების - ნ. მ-სა და ლ. ქ-ს მიმართ აბაშის რაიონულ სასამართლოში განსახილველად შევიდა 2003 წლის 22 ოქტომბერს. იმავე წლის 29 ოქტომბერს მოსამართლე მ. ს-ს მიერ მოცემული საქმე აცილებულ იქნა კანონით დადგენილი წესით. თუმცა, აცილებული სისხლის სამართლის საქმე ქუთაისის საოლქო სასამართლოში მის მიერ გადაგზავნილ იქნა აცილებიდან მხოლოდ ექვსი თვის შემდეგ - 2004 წლის აპრილში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილია, რომ ზემოთ მითითებულ

შემთხვევებში უნდა მომხდარიყო საქმის შესაბამის საოლქო სასამართლოში გადაგზავნა. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად, სისხლის სამართალწარმოების ორგანოები გონივრულ ვადაში, გაჭიანურების გარეშე უნდა იხილავდნენ სისხლის სამართლის საქმეებს. მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საქმეში იყვნენ განსასჯელები, რომელთაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული ჰქონდათ პატიმრობა.

სადისციპლინო კოლეგიამ ვერ გაიზიარა საჩივრის ავტორის არგუმენტი იმის თაობაზე, რომ მისი მხრიდან ზემოაღნიშნული გადაცდომის ჩადენას ადგილი არ ჰქონია, რადგან ეს საქმე განხილული იყო სხვა რაიონული სასამართლოს მიერ. მოსამართლე (სასამართლოს თავმჯდომარე) - მ. ს-ა ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების ხანგრძლივობა (რაც სისხლის სამართლის საქმის საოლქო სასამართლოში გადაგზავნის, შესაბამისი რაიონული სასამართლოსთვის გადაცემის და ამ უკანასკნელის მიერ საქმის განხილვის ვადებთან იყო დაკავშირებული) და მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების მიზნით დაუყოვნებლივ უნდა გადაეგზავნა შესაბამისი სასამართლოსთვის.

რაც შეეხება მოსამართლე მ. ს-ს განმარტებას იმის თაობაზე, რომ სადისციპლინო კოლეგიამ წინამდებარე დისციპლინური საქმე განიხილა მისი სავალდებულო მონაწილეობის გარეშე, სიმართლეს მოკლებულია, რადგან დისციპლინური საქმის მასალებით (კერძოდ, სხდომის ოქმით) დადგენილია, რომ იგი ესწრებოდა სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის სხდომას. ამასთან, აღნიშნულ სხდომაზე მას უფლება ჰქონდა დაეფიქსირებინა ნებისმიერი პოზიცია, უარეყო წაყენებული ბრალდება, წარმოედგინა დამატებითი დოკუმენტაცია და ა. შ. მაშინ, როცა მან სწორედ აღნიშნულ სხდომაზე კიდევ ერთხელ აღიარა დაშვებული შეცდომა და შესაბამისად, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომაც.

სადისციპლინო კოლეგიამ ასევე არ გაიზიარა საჩივრის ავტორის განმარტება იმის თაობაზეც, რომ მოცემული საქმის განხილვისას ადგილი ჰქონდა ზემოაღნიშნული კანონის 74-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას, რამდენადაც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს მიერ მოცემული დისციპლინური საქმე განხილულ იქნა კანონიერი შემადგენლობით, კერძოდ, ზემოაღნიშნული კანონის 22-ე და 24-ე მუხლების შესაბამისად ფორმირებული სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო საბჭოს შემადგენლობებით.

სადისციპლინო კოლეგიამ მიიჩნია, რომ მ. ს-სთვის შეფარდებული დისციპლინური სახდელი კანონიერი და დასაბუთებული იყო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სადისციპლინო კოლეგიამ სრულად გაიზიარა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს დასკვნა, რომ მოსამართლე მ. ს-ს მხრიდან ადგილი

ჰქონდა საქმის უსაფუძვლო გაჭიანურებას, რისთვისაც მას მართებულად დაეკისრა დისციპლინური სახდელი - მოსამართლის თანამდებობიდან გათავისუფლება. შესაბამისად, მისი საჩივარი იყო უსაფუძვლო და იგი დაკმაყოფილებული ვერ იქნებოდა.

მ. ს-მ 2017 წლის 29 მაისს განცხადებით მომართა საქართველოს უზენაეს სასამართლოს და აღნიშნა, რომ 1999 წლის 15 მაისს იგი დაინიშნა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ (სასამართლოს თავმჯდომარედ) 10 წლის ვადით. 2004 წლის 23 დეკემბერს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან, რაც საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებით უცვლელად დარჩა. აღნიშნული გადაწყვეტილება მ. ს-მ გაასაჩივრა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიაში, რომელმაც 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებით საჩივარი არ დააკმაყოფილა უსაფუძვლობის გამო.

მ. ს-მ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები გაასაჩივრა სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სასამართლოში, რომელმაც 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა საქართველოს მხრიდან. აღნიშნულმა სასამართლომ ანაზღაურა მხოლოდ მორალური ზიანი და ხარჯები. გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შევიდა 2017 წლის 27 აპრილს.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილებით განიმარტა, რომ „*მოცემულ საქმეში მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 4 წევრი პირველად შეიკრიბა კოლეგიის სახით, პირველი ინსტანციის წესით საქმის განმხილველი სასამართლო ორგანოს უფლებამოსილებით, განმცხადებლის მიმართ არსებული დისციპლინური ბრალდების დასაბუთების ხარისხის შესასწავლად. კოლეგიამ ჩაატარა სხდომა, გამოიკვლია ყველა მტკიცებულება და შემდეგ გამოიტანა დასაბუთებული გადაწყვეტილება 2004 წლის 23 დეკემბერს, კერძოდ, დაადგინა განმცხადებლის დისციპლინური პასუხისმგებლობა და დააკისრა დისციპლინური სახდელი - თანამდებობიდან გათავისუფლება*“. „... მოგვიანებით, იმავე ოთხმა მოსამართლემ, რომელიც სადისციპლინო საბჭოს 8 მოსამართლისაგან შემდგარი პლენარული სხდომის მონაწილე იყო, სააპელაციო გადასინჯვის წესით განიხილა 2004 წლის 23 დეკემბრის მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება, განმცხადებლის მიერ შესაბამისი კანონის მე-60 მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე გასაჩივრებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საკითხები. სხვა სიტყვებით, სააპელაციო ინსტანციის დონეზე, იგივე ოთხი მოსამართლე იქნა მოწვეული, რათა ხელახლა სრულად განეხილათ საკუთარი გადაწყვეტილება იმავე საქმეზე, გადაესინჯათ, ხომ არ დაუშვეს რაიმე შეცდომა ფაქტობრივი გარემოებების შეფასების ან სამართლებრივი განმარტების დროს“.

განცხადების ავტორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმება, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება, აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) ან ტოლფას თანამდებობაზე აღდგენა და 4 წლის განაცდურის ანაზღაურება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 8 ივნისის განჩინებით მ. ს-ს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 3 ივლისის განჩინებით აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო კოლეგიის 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილება და მოცემულ საქმეზე განახლდა საქმის წარმოება;

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2017 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებით აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრისა და საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილებები და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიას.

სადისციპლინო პალატამ მიუთითა მოცემული დისციპლინური საქმის საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიაში ხელახლა განსახილველად დაბრუნების ძირითად საფუძველზე, რასაც წარმოადგენდა მნიშვნელოვანი პროცესუალური დარღვევა, კერძოდ, სადისციპლინო საბჭოსა და სადისციპლინო კოლეგიაში საქმის განხილვისას „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 74<sup>3</sup>-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის დარღვევა, რომლის თანახმად, გადაწყვეტილება კანონის დარღვევით მიღებულად ჩაითვლება, თუ საქმე განხილულია ისეთი შემადგენლობის მიერ, რომლის წევრი (წევრები) უნდა ჩამოცილებოდა საქმის განხილვას ამ კანონით გასაზღვრულ შემთხვევებში. მ. ს-მ სწორედ აღნიშნული საფუძველით გაასაჩივრა სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის, სადისციპლინო საბჭოს 2005 წლის 27 იანვრისა და უზენაესი სასამართლოს 2005 წლის 11 ივლისის გადაწყვეტილებები ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში. ამდენად, სადისციპლინო პალატამ იმსჯელა მხოლოდ პროცესუალურ მხარეზე.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილებით აბაშის რაიონული

სასამართლოს ყოფილი მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება შეწყდა.

სადისციპლინო კოლეგიამ მიუთითა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლზე, რომლის შესაბამისად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის დღიდან - 1 წელი. ამავე კანონის 49-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, სადისციპლინო კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ: ა) მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა; გ) მოსამართლე, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია დისციპლინური დევნა, დისციპლინური საქმის განხილვის დასრულებამდე გადადგება ან მას შეუწყდება სამოსამართლო უფლებამოსილება.

სადისციპლინო კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის მ. ს-ს შეწყვეტილი ჰქონდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა. ასევე, დაადგინა, რომ დისციპლინურ პასუხისმგებებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, კერძოდ, 2004 წლის 3 დეკემბრიდან გასული იყო კანონით დადგენილი ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ხოლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან, კერძოდ, 2004 წლიდან კი - დისციპლინური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად ხანდაზმულობის ხუთწლიანი ვადა.

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება კანონით დადგენილი წესით გაასაჩივრა საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით, წარდგენილ დისციპლინურ ბრალდებაში, მ. ს-ს ბრალეულად ცნობა მოითხოვა.

საჩივრის ავტორის მოსაზრებით, სადისციპლინო კოლეგიამ საქმეზე მსჯელობისას ყურადღება არ მიაქცია იმ საკითხს, რომ იგი სპეციფიკური წარმოების ფარგლებში იხილავდა დისციპლინურ საქმეს, სადაც, უკრიტიკოდ, დისციპლინური წარმოების საერთო წესების გავრცელება, საქმეზე არასწორი სამართლებრივი შედეგის მიღების წინაპირობა იქნებოდა. ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლება წარმოების განსაკუთრებული, სპეციალური სახეა და კანონმდებელმა მსგავსი საპროცესო ინსტიტუტის არსებობა დაუშვა იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილიყო სამართლიანი სასამართლოს უფლება. საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც, როგორც წესი, გასაჩივრებას არ ექვემდებარება, გათვალისწინებულ იქნა საპროცესო მექანიზმი, რამაც შესაძლებელი გახდა საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერების საკითხის გადასინჯვა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მითითებით, სამართლებრივი პროცედურა, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებში,

გულისხმობდა მხოლოდ საკითხის იმ ფარგლებში განხილვას, რის შედეგადაც მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნებოდა დისციპლინური გადაცდომის არსებობა-არარსებობის ფაქტის დადასტურება, თუმცა სადისციპლინო კოლეგიას საქმის არსებით მხარეზე საერთოდ არ უმსჯელია. შეფასდა მხოლოდ პროცედურული საკითხები და ამის საფუძველზე შეწყდა საქმის წარმოება. საკითხისადმი მსგავსი დამოკიდებულება ეწინააღმდეგება საქმის ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო წარმოების განახლების მიზნობრიობას.

საჩივრის ავტორი ხანდაზმულობის საკითხთან მიმართებით აღნიშნავს, რომ თუ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შემდგომ მივუბრუნდებით ვადების საკითხს და მივიჩნევთ, რომ ერთხელ უკვე შეწყვეტილი საპროცესო თუ მატერიალური ვადები შეწყვეტის შემდგომაც დენადია, მსგავსი მიდგომით შეუძლებელი გახდება იმ მიზნის მიღწევა, რასაც წარმოების განახლება გულისხმობს. ხანდაზმულობის ვადების საკითხის შეფასებისას, მნიშვნელოვანია, რომ იგი შეფასდეს შეწყვეტილ ვადასთან მიმართებით, რადგან სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვადის ამოწურვამდე შეწყდა, როგორც 5-წლიანი, ისე 1-წლიანი პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადა.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით დისციპლინური კანონმდებლობა რეგულაციას არ შეიცავს, რის გამოც საინტერესოა მატერიალური სამოქალაქო სამართლის ნორმები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობის ვადა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. ამავე კოდექსის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდება ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. ამდენად, შეწყვეტილი ხანდაზმულობის ვადა თავიდან იწყებს დენას და სამართლებრივი შედეგებიც სწორედ ამ მიმართებით დგება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მითითებით, სადისციპლინო პალატის 2017 წლის 3 ივლისისა და 2017 წლის 10 ივლისის გადაწყვეტილებები დისციპლინური საქმის წარმოებისათვის წარმოადგენს პრეცედენტულ გადაწყვეტილებებს, სადაც პალატამ დაადგინა პრაქტიკა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა საფუძველზე საქმის წარმოებასთან მიმართებით. აღნიშნულის საპირისპიროდ, სადისციპლინო კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების ფარგლებში მ. ს-ა არ იქნა განხილული უფლებამოსილ სუბიექტად იმ მოტივით, რომ მის მიმართ ამოწურული იყო 10-წლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო არ ეთანხმება მოცემულ მსჯელობას და აღნიშნავს, რომ კონკრეტული წარმოების ფარგლებში მ. ს-ა წარმოადგენდა დაინტერესებულ პირს, რომელსაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების საფუძველზე, უფლება ჰქონდა დავის ხელახლა არსებითად



განხილვის პირობებში, შეფასებულიყო მის მიერ დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის საკითხი.

### ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სადისციპლინო პალატა მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენის, საქმის მასალების შესწავლის, საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის, სადისციპლინო კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებისა და საქმის სასამართლო განხილვის შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს მიმართ უნდა შეწყდეს საქმის წარმოება ხანდაზმულობის გამო.

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 69-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სადისციპლინო პალატა იღებს გადაწყვეტილებას სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღების შესახებ, თუ საკითხი ეხება ამ კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებებს. ამავე კანონის 72-ე მუხლი ითვალისწინებს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებას, სადისციპლინო კოლეგიის მიერ დისციპლინური პასუხისმგებლობის უკანონოდ დაკისრების, დისციპლინური სახდელის ან დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების უკანონო გამოყენების შემთხვევაში. სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილების გაუქმებისთანავე სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია მიიღოს ამ კანონის 48-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი გადაწყვეტილება, იმავე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გარდა. ამდენად, სადისციპლინო პალატა უფლებამოსილია, ამავე კანონის 48-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ 1999 წლის 15 მაისს მ. ს-ა დაინიშნა აბაშის რაიონული სასამართლოს მოსამართლედ (სასამართლოს თავმჯდომარედ) 10 წლის ვადით. 2004 წლის 3 დეკემბერს იგი მიეცა დისციპლინურ პასუხისმგებაში, ხოლო საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან.

სადისციპლინო პალატა ნაწილობრივ იზიარებს საერთო სასამართლოების

მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობას მ. ს-ს მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სადისციპლინო კოლეგიამ დისციპლინური საქმის წარმოება შეწყვიტა ორი სხვადასხვა საფუძველით. კერძოდ, არ არსებობდა სუბიექტი, ანუ მ. ს-ს შეწყვეტილი ჰქონდა სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა და ასევე გასული იყო „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები, თუმცა აღნიშნული მსჯელობის შედეგმა ასახვა არ ჰპოვა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში და არ იქნა მითითებული საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. სადისციპლინო პალატის მოსაზრებით, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი წარმოადგენს გადაწყვეტილების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ექვემდებარება აღსრულებას. ამდენად, სახეზეა ხარვეზი, რაც მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების ძირითადი საფუძველია.

სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, მოსამართლეს დისციპლინური პასუხისმგებლობა არ ეკისრება, თუ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის დღიდან გასულია 5 წელი, ხოლო დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან - 1 წელი. ამავე კანონის 49-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტების თანახმად, სადისციპლინო კოლეგია იღებს დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას, თუ „მოსამართლისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების ვადა ამოიწურა“ და „მოსამართლე, რომლის წინააღმდეგაც აღძრულია დისციპლინური დევნა, დისციპლინური საქმის განხილვის დასრულებამდე გადადგება ანდა მას შეუწყდება სამოსამართლო უფლებამოსილება.

სადისციპლინო პალატა აღნიშნავს, რომ მოცემული დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის მ. ს-ს შეწყვეტილი აქვს სამოსამართლო უფლებამოსილების 10-წლიანი ვადა. საქმის მასალებით ასევე დადგენილია, რომ დისციპლინურ პასუხისმგებაში მიცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან, 2004 წლის 3 დეკემბრიდან გასულია კანონით დადგენილი 1-წლიანი ვადა, ხოლო დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან - 2004 წლიდან ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადა. აქედან გამომდინარე, სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ სადისციპლინო კოლეგიამ სრულიად მართებულად იმსჯელა საქმის მხოლოდ პროცედურულ ნაწილზე და მ. ს-ს მიმართ შეწყვიტა დისციპლინური საქმის წარმოება, ვინაიდან მოცემული დისციპლინური საქმის განხილვის დროისთვის მას აღარ ჰქონდა მოსამართლის სტატუსი, უფრო მეტიც, გასული იყო მოსამართლეობის 10-წლიანი ვადა, ასევე გასულია კანონით დადგენილი როგორც 1-წლიანი, ისე საერთო ხანდაზმულობის 5-წლიანი ვადებიც.

სადისციპლინო პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას იმ

გარემოებასთან დაკავშირებით, რომ თუ დისციპლინური წარმოების ფარგლებში ხანდაზმულობის ვადების საკითხის შეფასების აუცილებლობას დავუშვებთ, მნიშვნელოვანია იგი შეფასდეს შეწყვეტილ ვადასთან მიმართებით, რადგან სადისციპლინო კოლეგიის 2004 წლის 23 დეკემბრის გადაწყვეტილებით, ვადის ამოწურვამდე შეწყდა როგორც 5-წლიანი, ასევე 1-წლიანი პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები. საჩივრის ავტორმა ასევე აღნიშნა, რომ დისციპლინური კანონმდებლობა შეწყვეტილ ხანდაზმულობის ვადებთან დაკავშირებით რეგულაციას არ შეიცავს, ამ მხრივ, საინტერესოა სამოქალაქო სამართლის ნორმები და მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან და მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

სადისციპლინო პალატა, ზემოაღნიშნული მოსაზრების უფულვებელსაყოფად, განმარტავს, რომ საჩივრის ავტორი აქცენტს აკეთებს სამოქალაქო დავებისა და აქტების ხანდაზმულობის ვადებზე, თუმცა ამ შემთხვევაში სახეზეა დისციპლინური სამართალწარმოების ვადები სახდელთან მიმართებაში. ამდენად, სადისციპლინო პალატა სახდელთან დაკავშირებით ითვალისწინებს დისციპლინურ კანონმდებლობას, რომლითაც დადგენილია ხანდაზმულობის კონკრეტული ვადები, რომლის გასვლის შემდეგაც სახდელს ვერ დააკისრებ ბრალეულ პირს. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ საჩივრის ავტორმა არასწორად მიუთითა სამოქალაქო კანონმდებლობაზე, ვინაიდან ანალოგიის გამოყენება საჯარო სამართალში მკაცრად შეზღუდულია და დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ანალოგიის გამოყენების გარეშე შეუძლებელია სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება. ანალოგიის გამოყენება დაუშვებელია მით უფრო, თუ მის გამოყენებას პირის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება მოჰყვება. მოცემულ შემთხვევაში დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველია ის ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით სახეზე არ არის სამართალურთიერთობის სუბიექტი - მოსამართლე, გასულია მისი 10-წლიანი სამოსამართლო უფლებამოსილების ვადა, რაც იმას გულისხმობს, რომ დისციპლინურ სახდელს ვერ დააკისრებ არამოსამართლე პირს. ასევე, გასულია „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრების ხანდაზმულობის ვადები.

საჩივრის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტს წარმოადგენს ასევე, ის გარემოება, რომ სადისციპლინო კოლეგიის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მოცემული დისციპლინური საქმის წარმოება შეწყდა არსებითი განხილვისა და მსჯელობის გარეშე. სამართლებრივი პროცედურა, საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების პირობებში, მოიაზრებდა საკითხის იმ ფარგლებში განხილვას, რის შედეგადაც მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლებელი იქნებოდა დისციპლინური გადაცდომის არსებობის ან არარსებობის ფაქტის დადასტურება. სადისციპლინო

კოლეგიას საქმის არსებით მხარეზე საერთოდ არ უმსჯელია და შეაფასა მხოლოდ პროცედურული საკითხები.

აღნიშნულთან დაკავშირებით სადისციპლინო პალატა განმარტავს, რომ მოცემული დისციპლინური საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის მიერ დაშვებულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 423-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების საფუძველია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), რომელმაც დაადგინა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის ან/და მისი დამატებითი ოქმების დარღვევა. ამ შემთხვევაში, ევროპის სასამართლომ დისციპლინურ საქმეზე დაადგინა მხოლოდ პროცედურული დარღვევა, კერძოდ, ევროპული კონვენციის 6.1 მუხლის დარღვევა იმ საფუძველით, რომ სადისციპლინო კოლეგიის ის წევრები, რომლებმაც მიიღეს გადაწყვეტილება, სადისციპლინო საბჭოში იღებდნენ მონაწილეობას იმავე საქმეზე. მითითებული ნორმით დადგენილია, რომ „სამოქალაქო უფლებებისა და მოვალეობების ან ნებისმიერი სისხლის სამართლებრივი ბრალდების განსაზღვრისას, ყველას აქვს უფლება მისი საქმის სამართლიან და ღია მოსმენაზე, კანონის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ტრიბუნალის მიერ, დროის განსაზღვრულ ვადაში“. ამდენად, სადისციპლინო კოლეგიის მსჯელობა მხოლოდ პროცედურულ საკითხებზე, სავსებით მართებულია, რადგან სახეზე გვაქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილება, რომელმაც დარღვევა დაადგინა მხოლოდ პროცედურულ საკითხებზე. ევროპის სასამართლოს საქმის არსებით ნაწილზე, რომლითაც მოხდა მოსამართლის ბრალეულად აღიარება და მასზე სახდელის დაკისრება, არ უმსჯელია. უფრო მეტიც, დისციპლინური სამართალწარმოების შედეგებთან დაკავშირებით განმარტა, რომ *„ის ვერ შეასრულებს მეოთხე ინსტანციის ფუნქციას და შესაბამისად, კითხვის ნიშნის ქვეშ ვერ დააყენებს ეროვნული დონის სასამართლო ორგანოების მიერ ფაქტებისა და სამართლებრივი საფუძვლების დადგენას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მიგნებები შეიძლება მიჩნეულ იქნეს თვითნებურად ან აშკარად დაუსაბუთებლად“*. მოცემულ საქმეზე კი ევროპული სასამართლო ვერ ხედავდა თვითნებობის რაიმე გამოვლინებას ეროვნული სასამართლოების დასკვნებში, რის გამოც, ამ ნაწილში განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 35-ე მუხლის მე-3ა და მე-4 ქვეპუნქტების საფუძველზე დაშვებას არ ექვემდებარებოდა. სადისციპლინო პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმის არსებით ნაწილში დარღვევა არ დაფიქსირებულა, რაც იმას გულისხმობს, რომ ეროვნული დონის სასამართლო ორგანოების დასკვნები სწორია. მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 28 მარტის გადაწყვეტილების აღსრულების საკითხი დისციპლინური კუთხით მხოლოდ

პროცედურულ ნაწილში. აღნიშნულ მოსაზრებას იზიარებს სადისციპლინო პალატაც და სადისციპლინო კოლეგიის მიერ მ. ს-ს მიმართ დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტას ხანდაზმულობის (და არა ბრალეული ქმედების არარსებობის) გამო სრულიად მართებულად მიიჩნევს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ იხელმძღვანელა „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ„ საქართველოს კანონის 48-ე, მე-60, 65-ე, 68-ე მუხლებით, 69-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, 72-ე მუხლით და

### გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა სადისციპლინო კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შეწყდეს აბაშის რაიონული სასამართლოს ყოფილი მოსამართლის (სასამართლოს თავმჯდომარის) - მ. ს-ს მიმართ დისციპლინური საქმის წარმოება ხანდაზმულობის გამო;
4. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე:

/მაია ვაჩაძე/

მოსამართლეები:

/ეკატერინე გასიტაშვილი/

/ვასილ როინიშვილი/